გიორგი ჩინჩალაძე

ზოგიერთი ხალხური თქმის საწესო მნიშვნელობისათვის

„საქმის გათავება სჯულისაებრ, აი
დასაწყისი და დასასრული ყოველგვარი
ურთიერთობისა ფშავ-ხევსურეთში“
(ნ. ხიზანიშვილი)

ხშირად გვსმენია გამოთქმები, რომელთა მნიშვნელობა დღეს უკვე დაკარგულია, გაუგებარია. ძველად კი საკულტო ტექსტებს წარმოადგენდნენ, თავისი სოციალური როლი ჰქონდათ. ამჟამად კი იგავური თქმების ანუ აზროვნების სიმბოლოების სახით არსებობენ.

„ძაღლმოკლული“. თუ ვინმე ეურჩებოდა თავის გვარს, რაიმე უწესობას ჩადიოდა, ან ნათესავს მოიყვანდა ცოლად, ასეთს ძაღლის მოკვლით კვეთდნენ გვარიდან. ვინმე მოკლავდა ძაღლს და იძახდა, „მომიკვეთავ ამ ძაღლის სისხლით... ეგ ჩემთვის აღარაი არ დღესის შემდეგ. მე მაგის აღარაი-ორ, მახკლავს ვინა თავს არ დავზდებ, მოკლავს ვისა-და თავს არ დავიდებ“. ასეთი სახით მოკვეთილს „ძაღლმოკლული“ ერქვა. ასეთი კაცის შერიგება მხოლოდ რამოდენიმე წლის მერე შეიძლებოდა მომხდარიყო, ისიც შუაკაცების მომრიგებლობით, ერთ-ერთ დღეობაში და მხოლოდ ჯვარში. რადგან „ჯვარის“ (საყდრის) ხათრით, „ყველა სთმობს და ამოირეცხს გულს დამნაშავეზე“ (ხალხ.). საბოლოო გაყრა-მოკვეთა მხოლოდ ჯვარში სამნის ჩაგდებით იცოდნენ, რადგან სამანს ვერავინ გადმოაგდებდა „დარისხვა-დალევის“ შიშით და ასეთი მოკვეთა უკვე საბოლოოდ ითვლებოდა და შერიგება აღარ ხდებოდა. ძაღლის მოკვლა „საწყევარის“ აგების დროსაც იცოდნენ. ძაღლს ან კატას ჩამოახრჩობდნენ და საჯაროდ, გზაჯვარედინზე ჩამოკიდებდნენ, რაც დიდი სირცხვილი იყო მისთვის, ვის სახელზეც ამას აკეთებდნენ. ძირითადად ვალის დაუბრუნებლობის შემთხვევაში იცოდნენ მოვალის მკვდარზე ძაღლის დაკვლა. თქმაც იყო ასეთი, „ძაღლს ჩავაკლავ შენს მკვდარსაო“. დიდი შეურაცხყოფად ითვლებოდა ასევე გამოთქმა, „ჩაგიდნ ძაღლ მამის სულში“, რასაც ხშირად ჭრა-მესისხლეობა მოყვებოდა. გავიხსენოთ, “ძაღლ იყოს თქვენის მკვდრისადა” (ვაჟა). ფიცწყევლის ფორმა იყო ასევეე “რჯულ-ძაღლო.” შდრ.; “მაგრამ დაასწრეს რჯულძაღლთა, დრო არ აცალეს ცდისაო” (ხალხ.). ზოგჯერ ძაღლის საჭმელი ჯამის წინ აფიცებდნენ შეწამებულს;

გარდაცვლილი ახლობლის საფლავზე ძაღლების საკვებ ჯამს და ვირის უნაგირს დგამდნენ და მის წინ აფიცებდნენ. ტყუილის შემთხვევაში იმქვეყნად გარდაცვლილის ყმა-მონა გახდებოდა – საპალნით წყალს უზიდავდა, ჯღანებს გაუბანდავდა და სუფრის მონარჩენებით იკვებებოდაო. „სულსამც ექნება მსახურად ბიძაჩემს აბაისასა“ (ხალხ.). კატაზეც იცოდნენ საწყევარის აგება – „ეს კატაიმც იქნების იმისამც მკვდრისად, ცოცხალისად, ჯვარისად, ტაბლაისად, მთისადა, ბარისადა, ყველაიმც ღრიბლიან (წაბილწული) ექნებისა“ (ხალხ.). ვინც ამ საქმეს, მაგ. ქურდობას მაბრალებდესო. ამას „კატაზე ფიცს“ ეძახდნენ და მიმართავდნენ როცა ეჭვმიტანილი თავის სიმართლეს მოწმეებით ვერ ამტკიცებდა. მაშინ ამ კატას თოკით ჩამოკიდებდა ხეზე და საქვეყნოდ იფიცებოდა. ეს პრაქტიკა ლაშარის ჯვართან მდგომ მუხაზე არსებულ გადმოცემაშიცაა ასახული; როდესაც ზურაბ არაგვის ერისთავმა ლაშარის ჯვრის გატეხვა და სიმდიდრის გაზიდვა მოინდომა და ამისათვის მოკავშირეებს ფშავის თემის წინამძღოლებში ეძებდა, დახმარება ცაბაურთა თემის (გოგოჭურები) ხევისბერისათვის შეუთავაზებია, რომელმაც თემს არ უღალატა და უარი უთხრა მოძალადე ერისთავს, რისთვისაც დასჯის მიზნით მას ძაღლის ხორცი აჭამა, რაც შემდგომ ანდრეზად დადებულა მთაში. შემღერდნენ ხოლმე, „ძაღლის მჭამელო გოგოჭურო“. გადმოცემითვე, ზურაბ ერისთავმა საწადელს მაშინ მიაღწია, როცა ერთი მოღალატის რჩევით ამ მუხის ძირში „საწყევარი აუგია“ – შავი კატა დაუკვლევინებია და იქაურობა წაუბილწია. მაშინ შეუძლეს ამ მუხის მოჭრა და მის წვერზე ბმული ოქროს შიბიც მაშინ გაუჩინარებულა.

მოკვეთის კიდევ ერთი თავისებური და მძაფრი ფორმა იყო „მაძახურობა“. რაც მდგომარეობდა ურჩი შვილის მოკვეთაში გვარიდან – თუ ქალი ისეთ ქმარს გაჰყვა, ვისთანაც არ ეკუთვნოდა და მშობლები და საგვარეულო წინააღმდეგი იყო და ის ურჩობით მაინც გაყვებოდა, ასეთ შვილის მშობელი (სულერთია ქალი იქნებოდა თუ ვაჟი), მამა ან ბიძა გამოვიდოდა ბანზე და დაიძახებდა, „მაძახურობას იზამდა“ – „ჩემმა ქალმა ან შვილმა (ხევსურეთში ქალს შვილს არ ეძახიან) ესა და ეს საქმე ჩაიდინა. მე ეს არ მინდოდა, ან არ ეკუთვნოდა, ამით ვიშორებ მე ჩემს შვილს. ის ნუღარ იტყვის, რო თავისა ვინამ მყავავ ან სიკვდილის დღეს ან სიცოცხლისას, ის ჩემ აღარაი, მე იმისა, იმას ჯალაფნ აღარ ჰყონ, მე ის აღარ მყავ, არც ჭირს ვიკითხავ მაგისას, არც ლხინს, არც სიკვდილს, არც სიცოცხლეს... მაგდიოდასთ ჯვართანც, კაცთაც, ცასაცა-დ დედამიწასაც დღესიდგე მოკვეთილი, მოშორე-

ბული, ავადაც მამაშორდასა-დ კარგადაც. მე მაგისას არას ვიკითხავ, ეგ ჩემ ნურას იკითხავს“. ასეთი მოკვეთილის შერიგება მაინც ხდებოდა გარკვეული დროის მერე, შუაკაცების ძალით.

უწესობის, „ურჯულოების“ აღკვეთის საშუალებებიდან აღსანიშნავია ასევე შერცხვენის ფორმები, რომელთაც დასჯის გარდა, შეგონებითი როლიც ჰქონდა, რომ დამნაშავე შემდგომში გაფრთხილებულიყო და გამოესწორებინა, დაეძლია თავისი ნაკლი. შერცხვენა შედარებით მცირე დანაშაულზე იცოდნენ; ერთი ასეთი სასჯელთაგანი იყო „კალთის მოჭრა“; თუ კაცი ოჯახს ვერ უძღვებოდა, ლაჩრის სახელი ჰქონდა ან მშობლებს ცუდად ეპყრობოდა, მაშინ სოფელი შეთანხმდებოდა ასეთი პირისათვის „კალთის მოჭრაზე“. ამას დაავალებდნენ მისი საახლობლოდან ერთ კაცს. როცა დღეობაში მივიდოდა „კალთამოსაჭრელი“, რომელმაც ამის თაობაზე არაფერი იცოდა, ის თავისიანი მივიდოდა მასთან, ამოიღებდა ხანჯალს, ჩოხის კალთას დაუჭერდა, მოჭრიდა ამ კალთას და საჯაროდ ეტყოდა, „შენ ესა და ეს ჩაიდინე ჯარზე მოსაშვები არა ხარ, კალთამოსაჭრელი ხარ, სამარცხვინო და თუ კიდე ასეთს გაიმეორებ, უარესიც დაგემართება“. ასეთი შერცხვენა დიდი შეურაცხყოფა იყო მისთვის, მაგრამ მას უნდა მოეთმინა. ამით სოფელი მოუწოდებდა მას წესიერებისაკენ. „კალთამოსაჭრელო“ მძიმე საყვედური იყო, ამიტომ შუღლის დროსაც მიმართავდნენ, რაც ხშირად ჭრა-მესისხლეობითაც მთავრდებოდა. ასეც ეტყოდნენ, „სადიაცეო, დედროვნის ჯარზე საჯდომო, კალთამოსაჭრელო, ჯილაგის მომყივლეო“. მაშინ როდესაც ჩოხის კალთების აკეცვა, სარტყლის შემორტყმა ეს საომარი, სამამაცო წესი იყო. გავიხსენოთ, „კალთებჩაკვალთულები, მტერს უცდის ქართველებიო“ (ვაჟა). „კალთებმოჭრილი“ კი, როგორც ამ „სამამაცო წესს“ მოკლებული სიმხდალესთან, ლაჩრობასთან იყო გაიგივებული. ხალხური წარმოდგენა ასეთ პირს ბოსელში ათავსებდა, ქსლის მბოჭავ დიაცებთან. გავიხსენოთ, რომ ასევე სირცხვილად აღიქმებოდა ომის დროს მტრისათვის ზურგის ჩვენება, ხოლო ჭრა-ჭრილობისას კი მოპირისპირის სარტყლის ქვემოთ დაჭრა. „კალთა“ უპირატესობის, უფროსობის და ამდენად სიკეთის, მფარველობის მოტივთანაც იყო დაკავშირებული და საკულტო ტერმინად აღიქმებოდა. „სადაც არ უნდა ვიყო, ჩემი ლაშარის ჯვარი გადამეფარება, დამიფარავს“ (ხალხ.). „კალთის“ სოციალურ სტატუსთან დაკავშირებით, დაუმატებთ, რომ საქორწინო ცერემონიალში ხევისბერი მეფე-დედოფალს სამოსის კალთებს ნემსით გადაუბამდა და მხოლოდ ამის შემდეგ დალოცავდა მათ ლუდიანი კათხით (ხევსურე-

თი). შერცხვენის ნორმირებული (მიღებული) ფორმა იყო ასევე „თასის ჩამაყრა“. რაიმე უწესობაში შემჩნეულ კაცს, სოფლის ჯარში – დღეობაზე ვინმე, სოფლისაგან დავალებული კაცი, მიწოდებულ ლუდიან თასს ჩამოართმევდა და ეტყოდა, „შენ თასის და ჯარზე ყოფნის ღირსი არ ხარ (ამა და ამ საქციელის გამო), წადი დაიღუპე აქედან, თუ ამას არ მაიშლი, სულ მოგკვეთთ სოფელი“. „კაი ყმას“ კი პირიქით, საპატიო – „საკარგყმო“ სკამი და თასი ეძლეოდა ხატში. დასჯის ასეთი ფორმები იცოდნენ შეარებით მსუბუქ, „მოსათმენ“ საქმეზე. ხოლო განსაკუთრებით მძიმე ფორმებისას, ანუ როგორც ამბობდნენ „საქვეყნო სამარცხვინო საქმეზე“ უკვეთდნენ სამძახს, რასაც „სამძახდაკვეთილს“ ეძახდნენ. ასეთ მძიმე დანაშაულებად აღიქმებოდა ქალ-რძალში თავდაუჭერლობა, „ენის თრევა“ (მიტან-მოტანა), ომიდან გამოქცევა, ლაჩრობა და სხვ. ასეთ დროს სოფელი შეიყრებოდა და უკვეთდნენ სამძახს, საკლავს დაკლავდნენ და დაარისხებდნენ. სამძახდაკვეთილს ყოველთვის საყვედურად ედებოდა ეს სამარცხვინო საქმე, ერთ თაობამდე მიყვებოდა საყვედურად. ერთი თაობის მერე შეიძლებოდა მხოლოდ შუაკაცების ჩარევით და ჯვარში საკლავის შეხვეწნით აეხსნა სამძახი. სამძახდაკვეთილს არც ვინმე ქალს მისცემდა, არც იმათ ქალს ვინმე წაიყვანდა ცოლად, „დაეკვეთების სამძახი, არ მიგვეცემის ქალიო“ (ხალხ.). სამძახის შიშითაც იყო, რომ ბრძოლაში უკან ვერავინ იხევდა. ასეთ კაცს ბეჩავის, ლაჩრის სახელის მქონეს ქალს არავინ მიათხოვებდა და არც ამ ბეჩავის გვარიდან წამოიყვანდა ვინმე ქალს. ამის საპირისპიროდ, თემი ვაჟკაცობის, ღირსების იდეალად სახავდა ომში პირწაღმა, პირნათელ (ვალმოხდილ) სიკვდილს. ასეთ თავდადებულთა – „პიროფლიანთა“ შესანდობარი ხატობებზე საგანგებო თასით, „საყეინოთი“ ისმებოდა საჯაროდ.

საყვედურის, შერცხვენის მძიმე ფორმა იყო ასევე „დამპალოს“ დაძახება. ხალხის წარმოდგენით, იყო გვარები (ჯიშები), რომელთაც პირისახე ან ხელ-ფეხი უწყლულდებოდათ, ულპებოდათ. ამ ჯიშებს უწოდებდნენ სწორედ „დამპალს“, უჯიშოს და ასეთ გვარში თხოვა-გათხოვებას ძალიან გაურბოდნენ. მთელი საგვარეულო აუყჯანყდებოდა ამის მსურველს, „ჩვენ გვარში უჯიშო ჯიშს არ შემოვრეკთ, თუ არ დაიშლი მოგიკვეთთო“. ამიტომ მთიელი ქალს ისე არ ითხოვდა ან გაათხოვებდა თუ მის გვარს არ გამოიკითხავდა. ასეთ კაცს ზოგჯერ ხატისაგან „დამწვარსაც“ ეძახდნენ. ამ სიტყვის წამოძახება ხშირად შუღლის, ჭრა-მესისხლეობის მიზეზიც გამხდარა. შდრ.: „უჯიშო, შმორო, დამპალო, ნიავის საღვერაო“ და მისი საპირისპირო თქმა „ლომგული, ჯიშიანები“ (ხალხ).

„**ყურმოჭრილი კაცი**“. როცა საცილო საქმე ძლიერ გართულდებოდა, მტყუან-მართლის გარჩევა აირეოდა. მესისხლეობის (მამკლავ-მამკვდარის) ან ჭრა-მეკოდეობის, ანუ ბრძოლის, მაშინ რჯულით უნდა მომხდარიყო საფლავზე შახდომით ცოდვის მოკიდება, ანუ „ყურის მოჭრა“. ეს იყო დაფიცების ერთგვარი წესი. იმ კაცს, რომელსაც სისხლს – „კაცის თავს“ ედავებოდნენ, ის კი „თავს არ იდებდა“, შემწამებელი მხარე შეუთვლიდა საფლავზე „შახდომით“ ცოდვის მოკიდებას. ამ კაცს ორი შუაკაცი მოყვებოდა, ერთი ვინმე იმათი იქნებოდა, ვინც მას ცოდვის „მაკიდებას“ ავალებდა. ის იყო ერთგვარი „ფიცის მაყურებელი“, რათა თვითონ მოესმინა და ენახა თუ რას იტყოდა დამფიცებელი. დამფიცებელი იმ საფლავზე „შახდებოდა“ რომელი მიცვალებულის ცოდოს მოკიდებაც დაავალეს. შუაკაცი დამფიცებელს ეკლით ყურზე უჩხვლეტდა, ისე რომ სისხლი გამოსულიყო და ერთი წვეთი მაინც საფლავზე ჩავარდნილიყო. სისხლი რომ საფლავს დაეწვეთებოდა, „ყურმოჭრილი კაცი“ იტყოდა: „ამ მიცვალებულის (სახელს ამბობდა) ცოდო მქონდეს, ცოდო მქონდას ამ კაცისაი და ამის ნანახვთ კაცთა. თუ მე ამ საქმეში მართალ არ ვიყვა – და, ჩემით ან ენით მომხდარიყვას, ან ხელითად ან სხვით რაით მეტანას ბრალი, თუ მართალ ვიყვა და ტყუილად მაბრალებდინ, უცოდო ვიყვ, ჩემ ცოდოიც, ამ კაცისაიც – და ჩემ ნანახ კაცთ ცოდოიც იმის კისერს ეხვიოს, ვინაც მე ეს საქმე გამომიგონა და დამაბრალა ტყუილად, მე და ეგენ ერთუც გადაგვკიდნ“. „შუაკაცები“ „ამინ“-ით ადასტურებდნენ ფიცს და მტრები ამის შემდეგ შერიგდებოდნენ, რადგან „ყურის მოჭრა“ ხალხის შეხედულებით, ნიშნავდა ძლიერ „თავის დახრას“, დამორჩილებას და რაც სავსებით აკმაყოფილებდა მოდავე მხარეს, რომელსაც ამის შემდეგ „გული ამორეცხილი“ ჰქონდა – ცუდი განზრახვა აღარ ჰქონდა მოპირდაპირეზე და მოხდებოდა სრული შერიგება ხატში. ტყუილი ფიცი კი იმას ნიშნავდა, რომ იმ ქვეყნად ის გარდაცვლილის ყმა იქნებოდა. ეს ჩვეულებაც დაქვემდებარების, მსახურების მოტივს უკავშირდება; თანამედროვე თქმაშიც შემოინახა თავი – როდესაც მოპირდაპირე მხარეს საკუთარი უპირატესობის ჩვენება სურს და „თავს არ იდებს“, არ ემორჩილება, წამოაძახებს ხოლმე, „ყურები არ დამაჭრაო“. რასაც ადრე პირდაპირი, პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა. როდესაც შურისძიებისას ჩვევად (წესად) იყო მოკლულისათვის ყურის მოჭრა და „უნცროსობის“ თქმა, „უნცროსიც ხარავ ჩემის ძმისაი, წყალსამც უზიდავა, ტაბლასაც უმზადებავ, ჯღანთამც უბანდავავ, უნცროსადაც ყვიხარავ“. შეწირვის მოტივიდან გამომ-

დინარე, ყურის მოჭრა შეთქმული ზვარასთვის – საკლავისთვისაც იცოდნენ. წინასწარ მარჯვენა ყურს გაუსერავდნენ ან მოაჭრიდნენ და ამა თუ იმ წმინდანის (ხატის) სახელზე შეასახელებდნენ. საინტერესოა ამ ჩვევის ვაჟასეული ინტერპრეტაცია, რომ „როცა დამნაშავე შეურაცხოფილს საკლავს უკლავს, მას პატარა ხატად ხდის, რადგანაც საკლავის შეწირვა ღვთისა და ხატების მოსამადლიერებელი საშუალებაა“. ზემოთ ნახსენებ ჯღანების გაბანდვასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ გაბანდულ ჯღანზე ფეხის დადგმა დიდ შეურაცხყოფად ითვლებოდა. როდესაც ხმალში გამოწვევის მიზეზს (შარს) ეძებდნენ, ხშირად საგანგებოდ შეიხსნიდნენ ჯღანებს და ვინც ფეხს დაადგამდათ, ეს უკვე ხდებოდა ჭრა-კოდვის საბაბი, რადგან ხატობასაც, ისე, როგორც ქორწილს უჩხუბრად არ უნდა ჩაევლო, რადგან ესეც „სამამაცო“ (სამხედრო), თამაში – სწავლების ნაწილი იყო და ხატის „მეთვალყურეობით“ ხდებოდა.

ცოდო-მადლის თემასთან იყო დაკავშირებული კიდევ ერთი წესი, რომელსაც „ცოდვის მოკიდება“ ერქვა და პირდაპირი მნიშვნელობით სრულდებოდა; შეწამებულს, ანუ ვისაც დანაშაული ბრალდებოდა, შემწამებელი (მომჩივანი) კაცი ზურგზე უნდა შეესვა და ისე ეთქვა, „შენიმც ცოდვა მათ, მეორედ მოსვლას ჩემცა მაქვს და შენდა ნაცვალადამც მე განვიკითხები, თუ მე ეგ მექნას“. „ზურგზე აკიდების“ მერე, მას აღარავინ ემართლებოდა. ზურგზე მოკიდებით დაფიცება მცირე-მსუბუქ დანაშაულებებზე იცოდნენ. ამის მსგავსი იყო „მიწის კისერზე დაყრა“, როცა დავა მამულზე ჰქონდათ. ამ შემთხვევაში ერთ-ერთი შეუთვლიდა, „მიწათ ცოდო მაიკიდას, რო ეგ ყანა მას ეკუთვნისო“. დამფიცავი სადაო მამულში, შუაკაცების მეთვალყურეობით, აიღებდა ხელით მიწას, დახრიდა თავს, მიწას კისერზე დაიყრიდა და იტყოდა – „თუ ეს მამული მე არ მეკუთვნოდას, ამ დედამიწის ცოდო მქონდესო და ამ დედამიწაზე გავლილთ კაცთაო, და თუ მართალ ვიყვა-დ, უცოდო ვიყვ, დედამიწის მადლმაცა-დ ცის მადლმაც ისრ მართლად მამყოფას, როგორც მართალ ვიყვა-დ მართლა ვამბობდ“! შუაკაცები მიაძახებდნენ „უცოდო იყვ, უცოდო“ და დავაც წყდებოდა, მხარეები შერიგდებოდნენ.

ხალხის წარმოდგენით, ტყუილმოფიცარი იმქვეყნად გოდრით მიწას უზიდავდა მოდავეს და მისი ცოდვა-ბრალი ზურგზე აკიდებული კისერზე დააწვებოდაო. გავიხსენოთ ხალხური თქმა, „ბევრი ცოდვა ჰკიდია ზურგზეო“. თქმა, „ამ კაცს დედამიწის ცოდვა აწევს“. მძიმე საყვედური (ბრალდება) იყო და დიდ სირცხვილად ითვლებოდა, საპირისპიროდ გამოთქმისა – „დედამიწის

მადლმა“, რაც დალოცვის მიღებული ფორმა იყო. ტყუილზე დაფიცების შემთხვევაში, დამფიცავის და მთელი მისი გვარეულობის სასჯელი ამქვეყნადაც დიდი იყო. მასთან შეხვედრას ყველა გაურბოდა. ითვლებოდა, რომ პირველ შემხვედრზეც გადადიოდა ის სასჯელი, რაც ცრუ მოფიცარს თან სდევდა. ოსეთში, თითოეული მეთემე ორი კვირის განმავლობაში გაურბოდა დამფიცებელთან შეხვედრას.

კიდევ ერთი, დღევანდელობისათვის ეგზოტიკური ჩვეულება იყო „ცოდვის ხელის ჩამორთმევა“. აქაც, რჯულის თანახმად, ეჭვმიტანილს „ცოდვის ხელი“ უნდა ჩამოერთვა მოდავისათვის და საჯაროდ, შუა კაცების გასაგონად განეცხადებინა, რომ ამ საცილო საქმეში ის მართალი იყო, რის შემდეგაც გამართლებულად ჩაითვლებოდა.

თუ ერთ-ერთი მხარე არ ენდობოდა ბჭე-მოსამართლეებს და მათ გადაწყვეტილებას, ანუ „ნარჯულავს“, მაშინ შუაკაცები სხვა ბჭეებს შეყრიდნენ და საქმეც თავიდან უნდა გარჩეულიყო, ყოველგვარი „გადახრა-გადმოხრის“ (მიმხრობის) გარეშეო. „ნარჯულავის“ თავიდან გარჩევა-გასაჩივრებას „სანასკვოს“ უწოდებდნენ. ამ შემთხვევაში „რჯულის კაცები“ – მოსამართლეები დაპირისპირებულ მხარეებს მიიყვანდნენ ერთად, მოგლეჯდნენ გრძელ ბალახს, გამონასკვავდნენ და დასდებდნენ მიწაზე. მოიყვანდნენ ორივე მხარეს და განასკვულ ბალახზე ფეხს დაადგმევინებდნენ. რჯულის კაცი (მოსამართლე) „შეზძახებდა“ – ლოცვას იტყოდა; „ნასკვით“ მიღებული გადაწყვეტილება საბოლოოდ ითვლებოდა და „ნარჯულარს“ ვეღარავინ არღვევდა. „ნასკვით“ შერიგებას მიმართავდნენ უმეტესად ჭრა-ჭრილობის წესებისას, ასევე მესისხლეობისას; აქაც ყველა დამსწრე ფეხით შედგებოდა გამონასკულ ბალახზე. ბოლოს მოკლულის ოჯახის უფროსს დაადგმევინებდნენ ფეხს და მას უნდა ეთქვა საბოლოო შერიგება, „მიპატიებია და გამინთავისუფლებიხართ ხატის და ხალხის გულისადავ! დღეისიდან სწორ გზაზე იარეთავ“.

დაფიცების ერთგვარი წესი იყო ასევე, „მხარზე ხელის დადება“. მოფიცარი იღებდა დროშას, ვერცხლის თასს, ხოლო მოწმეებს მისთვის ხელი ედოთ მხარზე და ყოველი ფრაზის მერე ამბობდნენ, „ამინ“. მოწმეს, ადათის (რჯულის) მიხედვით, „ხელმოჭიდებული“ კაცი ერქვა, რომელსაც ბრალეული უნდა „მოსჭიდებოდა“. მსუბუქ, „მოსათმენ“ დანაშაულზე იცოდნენ „სასოფლო მუშტის დაკვრა“. როდესაც სოფლის ყველა წევრი მიდიოდა დამნაშავესთან და მხარზე მუშტს ურტყამდა. გვახსენდება ერთი საქორწინო ჩვეულებაც, როდესაც მაყრიონის წევრები

ცდილობდნენ ნეფისათვის ბეჭებში მუშტის დაკვრას, ის კი მათ გაურბოდა.

ყველასათვის ცნობილია გამოთქმა „ქუდი რომ შემიგდო არ შევალო“, რაც ერთგვარი ინვერსიაა ერთი ხალხური წესის, როდესაც „სარჩელის შეთვლის“ მიზნით შუაკაცი მიდიოდა დამნაშავის ოჯახში, კარებიდან ჯერ ქუდს შეაგდებდა და შემდეგ შედიოდა შიგ და „სარჩელს“ მოახსენებდა კერიასთან მსხდომთ. ქუდის შეგდების ჩვეულებას უმეტესად ჭრა-ჭრილობის საქმეებზე იყენებდნენ. აქ გამოთქმა, ქუდი რომ შემიგდო არ შევალო, როგორც ამ წესის ოპოზიციური, განსაკუთრებული, საგანგებო შემთხვევევების, მოვლენათა სირთულის მეტაფორაა. ქუდის მოხდაც დასჯის, შეურაცხყოფის ფორმად აღიქმებოდა. მოდავე მხარეები ბჭე-ხევისბრების წინაშე ქუდმოხდილნი და მუხლმოყრილნი უნდა ყოფილიყვნენ. ასევე ქუდმოხდილი და ჩოქით ემსახურებოდა მთიელი სტუმარს. საპირისპიროდ, „ქუდის დახურვა“ ღირსების, უპირატესობის მოტივს უკავშირდებოდა, რადგან „ქუდი“ გარკვეული შეხედულებების, წარმოდგენების სიმბოლო იყო. შდრ.; „ნამუსის ქუდის“ ცნებას. გვარში შემავალი მამაკაცები ქმნიდნენ სწორედ „ქუდოსნების“ პრესტიჟულ წოდებას „მანდილიანებთან“ მიმართებაში. ხატსაც მუდამ ევედრებოდნენ „ქუდის დამხურავთა“ გამრავლებას.

„ბანზე შეხტომა“. მესისხლეობის დროს „რჯული“ (წესი) იყო, რომ მოკლულის საგვარეულო მკვლელის სახლ-კარს მიუხტებოდა და არბევდა. მკვლელი და მისი ჯალაბობა კი წინასწარ უკვე გახიზნული იყო სხვა სოფელში. ამიტომ სოფლის მცხოვრებთ საკლავი – ხარი, ცხვარ-ბატკანი, კურეტები უნდა გამოეყვანათ და დაეკლათ მარბიელთათვის და უკან გაებრუნებინათ ისინი. ამიტომ, თქმა „ბანზე შეხტომა“ ოჯახის განადგურების, დაქცევის სიმბოლოდ შევიდა ხალხურ მეხსიერებაში. გავიხსენოთ, „ჩაუხტეთ მუხრან-ბატონსა, თავს დაუქციოთ ბანია“ (ხალხ). „ბანზე შეხტომა“ ჯარიმის, საზღაურის გადახდის ფორმა იყო ქალის მოტაცების წეს-ჩვეულებებშიც. სასჯელის, შეურაცხყოფის ნიშანი იყო კერიიდან საკიდლის ჩამოხსნის და წამოღების წესიც. კერა, როგორც ცნობილია ოჯახის სიმბოლოა, გამაერთიანებელი, შუაგული ადგილი. გადმოცემით, ძველად სწორედ კერიიდან საკიდლის ჩამოხსნა იყო მტრის განადგურების მოწმობა, ხოლო მარჯვენის მოკვეთის წესი მოგვიანებით შემოსულა მაჰმადიანი მთიელებიდან. აქვე ერთი ჩვეულებაც გვახსენდება, როდესაც ქორწილში დედოფლის მაყრიონი კერის თავზე საკიდელს ხანჯლით ცემდა მუქარის, მტრობის ნიშნად

თუ მათ ქალს ახალ ოჯახში უპატიოდ მოექცეოდნენ და პირიქით, გადაჯვარედინებული ხმლების ქვეშ ნეფე-დედოფლის გატარება ფიც-მტკიცებულების ფორმა იყო. ხმალი ხომ ვაჟკაცობის, ღირსების ნიშანია. „ვაჟკაცის სახელი იარაღშია, მაგაზედ ძნელად გასატეხი ნიშანი კაცისთვის აღარ იქნების“ (ხალხ.), ამიტომ ხმლის ართმევა „საუპატიოს“ მძიმე ფორმა იყო, განადგურებასთან ასოცირებული.

დღეს მოარული თქმაა „შენი ჭირიმე“, „შენი ჭირი მქონდეს“. ამასაც ადრე თავისი საწესო პრაქტიკა ჰქონდა როგორც გაფიცვის, დადიდებების თუ სხვა საწესო ტექსტების ნაწილს; კერძოდ, გარდაცვლილ ხატის მკადრეთა – ხევისბერთა შესანდობარის თქმისას, მიაყოლებდნენ – „ჭირს ვსომ თქვენს ყველაისას“. ასევე საწესო პრაქტიკიდანაა გამოთქმა, „ასე მტერი დაგეცალოს“.

დარისხების ჩვეულებებში ხევისბერი სადიდებელს – ლუდიან თასს დაღვრიდა სიტყვებით – „ეესრ დაიღვაროს ქურდის სისხლი მტრის ხელით“, ზოგჯერ მოგიზგიზე ცეცხლზე ღვრიდა არაყს ან ლუდს – „ეესრ დაიწვას, აპრიალდეს თემის ორგული“. არისხებდნენ ავენას, ავხელას, თემის ვერშემნახველს, გამტეხს (ქურდს). ქალ-ზალში თავდაუჭერელს. გავიხსენოთ, „ხალხისა პირის გამტეხი დაიწვასც, დაიდაგოსა“ (ხალხ.). დიდებაში ხევისბერი ასეც იხუცებდა – დაილოცებოდა, „თქვენ ერთგულ ყმათა თუ რამე ეხედვებოდეს სენი, სევდა, სნეულობა, მაცილფათერაკი, საზიანო საქმე, ისევ თქვენ მგმობარეზე და მოღალატეზე გადაიღოდით“ (ხალხ.).

ფიცის სამძიმო ფორმა იყო სამანის ჩაგდება, რადგან სამნის ამოგდება მთელი სანათესაოს „ამოგდება“ – ამოწყვეტის მომასწავებლად აღიქმებოდა. ამას ყველა გაურბოდა. ასეთს ღვთის რისხვა მისდევდა, „შვილით-შვილამდინ“ და „ქალის-შვილამდინ“ (როგორც აღვნიშნეთ, მთიელები შვილს მხოლოდ ვაჟს უწოდებდნენ, ქალზე კი არ იტყოდნენ). სამნის ჩაგდება ნებისმიერ ღირსშესანიშნავ – დასამახსოვრებელ საქმეზე იცოდნენ, როგორც სათემო, ისე პირადული ხასიათის. „არ გამოქცევის“ სამანიც კი არსებულა, ბრძოლიდან უკანდაუხევლობის, თვითშეწირვის ნიშნად. ზოგი პირადი მიზეზების გამო დებდა სამანს – დღეის იქით აღარ დავლევ ან ჯვარში აღარ ვიჩხუბებო. ასე რომ ამ „მტკიცებულობებით“ მოფენილი ყოფილა ხატის კარი (ეზო).

უმეტესად სამნის ჩაგდება მაინც ძმობაზე – ძმადგაფიცვაზე ცოდნიათ და ამ მოვალეობის ნიშნად ხშირად მოფიცარი მთელი ცხოვრება გულზე დაკიდულ გახვრეტილ ქვას ატარებდა.

ფიცის თავისებური ფორმა იყო პირში ქვის ჩადება. აღთქმას დებდა რომ ამის იქით ხატში აღარ იყბედებდა; ხატში რომ მივიდოდა ხატში პატარა ქვას ჩაიდებდა. ლუდის სმისას გამოიღებდა და ხელში დაიჭერდა, სახლში რომ წავიდოდა, ქვას გალავნის შიგნით აგდებდა. გავიხსენოთ, რომ ბერიკაობა-ყეენობის წესებშიც „ყეენად“ მორთულ კაცს კენჭი ედო პირში „უმძრახობის“ ნიშნად. ამ წესით თემი (საზოგადო აზრი) იდეალად სახავდა სიტყვაძვირობას, უმძრახობას, საპირისპიროდ ყბედობის, სიტყვის „რაკუნის“, რაც სირცხვილად, უღირსებად აღიქმებოდა. გავიხსენოთ, „კაი ყმა სულღებული ჯობს“ (ხალხ.). ძვირსახსენებელი, „უტყუელი“ – საკულტო ეპითეტებიც იყო.

დაფიცების ფორმა იყო ხეზე ჭდის ამოგდებაც – დაიფიცებდნენ და დაჭდეულ ჯოხს სალოცავში წმინდა ალაგას გადააგდებდნენ.

ფიც-მტკიცებულების ასეთი ფორმა მთელ კავკასიაშია ცნობილი. იცოდნენ ასევე სახატო ტყეში მოჭრილი ხისგან გამოთლილ კომბალზე ან კვერთხზე დაფიცებაც. ხევისბერის კვერთხი, დროშასთან ერთად უმაღლეს მტკიცებულებად ითვლებოდა. ჭდეებიანი ჯოხის ხატის კარზე გადაგდებაც ღვთაებრივ, შეულახავ ავტორიტეტს ანიჭებდა გადაწყვეტილებას და თაობებისათვის უკვე ანდრეზად – კანონად იდებოდა. ასეთი „ჭდეებიანი ჯოხი“ თავად სალოცავში ან კერაზე ინახებოდა. სვანეთში ასეთ საწესო ჯოხებზე ე. წ. „ბირკებზე“ სათემო ფიც-გადაწყვეტილებები ანუ „ჰარაკები“ იწერებოდა და ეკლესიაში ინახებოდაო თაობებისათვის სამაგალითოდ. გავიხსენოთ თქმა, „საარაკო ამბავი“ – მოვლენის განსაკუთრებული, სამაგალითო სტატუსის მნიშვნელობით.

შერისხვის ცერემონიალშიც ხევისბერი ჩამქრალ სანთლებს ბოლოს ხატში გადაყრიდა, კაცთაგან უვალ ადგილას და რაც უდიდეს სასჯელად ითვლებოდა.

სასჯელის მძიმე ფორმა იყო ასევე „სამრისხალოს ჩატანება“, ვინც დარისხებას აპირებდა – დამრიხებელი, მოქონდა ხატში ერთ საწყავამდე ფქვილი, სვე, რომლითაც დასტურები ხატობისათვის განკუთვნილ სვესა და ფქვილში გაურევდნენ და ლუდს ერთად ადუღებდნენ, რასაც „სამრისხალოს ჩატანებას“ უწოდებდნენ. შემდეგ აქაც იგივე ჩვეულებები სრულდებოდა – სანთლის სამჯერ დაქრობის და ლუდის დაღვრის, დამნაშავის „დალევის“ და „გაქრობის“ ნიშნად.

საღვთო ფიცის ფორმა იყო ასევე „ჯვართად ხელის შაწვდა“, როდესაც ეჭვმიტანილს ხატისაკენ (სალოცავისაკენ) ხელი უნდა

გაეშვირა და ისე უნდა დაეფიცა თავისი უდანაშაულობა. თუ ამას არ იზამდა, გამტყუნდებოდა. ასეთი „ხელის გაშვერა“ შედარებით მსუბუქი დავისას ცოდნიათ.

საწესო ლექსიკიდანაა ასევე თქმები „თავზე ხელის აღება“, რაც აპარეკობის წეს-ჩვეულებებს უკავშირდებოდა. მოგვიანებით კი „თავზეხელაღებული“ თავგანწირვის, ჯიგიტობის ანუ აბრაგობის იგივეობად იქცა. შდრ.; „თუ აბრაგობას დავესხნა, ღმერთი ნუმც გამიმარჯვებს ნურასდროს, ქუდიმც მახურავს ნუღარა“ (ხალხ.).

„**თავმინებებული**“ – გარდაცვლილის, უპატრონო, დავიწყებული მკვდრის მნიშვნელობით. „ცოცხლები გიცოცხლოს ღმერთმა და მკვდრები მოიხსენოს ღმერთმა იქ, თავმინებებულები... ტყვილა დაძვალდენ, დანაცრდენ, დაიკარგნენ ისინი“ (ხალხ).

„**შორს მდგომი**“ – მოკვეთილის, უცხოს მნიშვნელობით და მისი ანტინომი – „ახლოს მდგომი“, მოგვარის ანუ მომხრეს, თავისიანის მნიშვნელობით. საყურადღებოა ასევე ტერმინი „აშოთი“ – ნაბიჭვრის, ბუშის მნიშვნელობით და მისი საპირისპირო „შოთი“. გავიხსენოთ, რომ ქართველები უწინ არმაზის კერპს და მისდამი შესაწირ პურსაც „შოთთას“ უწოდებდნენ (ვახუშტი).

„**ძველი**“ – მოთავის, უპირატესის მნიშვნელობით. გავიხსენოთ, „ხკითხვიდენ გაბიდოურსა ძველსა და წინა-წინასა“ და მისი საპირისპირო – „ახალი“, გამოუცდელის, უმცროსის მნიშვნელობით. შდრ; „მაპატიე დალოცვილო ახალი ვარ, ვერა ვიცი ბევრი და ამდენი“ (ხალხ). გავიხსენოთ ასევე ტერმინები, „ძველი“ პური, თაობით პური, „ძველი“ ღვინო თუ სხვა, „დავლათის“, ნაწილიანობის აზრით. ასეთი სოციალურ-ზნეობრივი კონტექსტი გააჩნდათ ამ ტერმინებს უწინ, წარმოადგენდნენ რა ქცევათა ერთგვარ პროგრამას, მტკიცებულებას. შემდგომში ასეთი საკულტო ფორმა დაიკარგა და ისინი იგავურ თქმებად – აზროვნების სიმბოლოებად შემორჩნენ. როგორც ეთნოგრაფიული წყარო კი გვეხმარება მათი სოციალური ორგანიზაციის თუ ზნე-ჩვეულებების ძველი ფორმების გაგებაში.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ქართული ჩვეულებითი სამართალი, I-II, თბ., 1988-1990.
2. დ. ბენაშვილი, ვაჟა-ფშაველა, თბ., 1961
3. ალ. ოჩიაური, ქართულ ხალხურ დღეობათა კალენდარი, თბ., 1991
4. ჯვარ-ხატთა სადიდებლები, თბ., 1998
5. მ. ხანგოშვილი, ვაინახი პერსონაჟები ქართველ მწერალთა შემოქმედებაში, თბ., 2007
6. З. Гаглоити, Очерки по этнографий Осетий. М., 1974

G. Chinchaladze

For the importance of old codes of some folk-tales

Summary

In the article, it is considered the importance of old codes of folk-tales, when they were somehow the programme of practical activities and the proof of behaviours, but later their active social role was lost and now they are saved in peoples mind as fables or as conventional signs.

As an ethnographical sources they help as to understand peoples social relationships and values.